# საექსპერტო დასკვნა

## ანგარიშზე: ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქ№10-ში, ნაკვეთ №29/75-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის პროექტი. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

შპს "იუნიქს-2"–ის ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2016 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქ№10-ში, ნაკვეთ №29/75-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქ№10-ში, ნაკვეთ №29/75-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს "თბილინვესტპროექტი"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2014 წლის სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი იყო ინჟინერ-გეოლოგი ი. ცხომელიძე. მათ მიერაა შესრულებული გრუნტების თვისებათა ლაბორატორიული გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 7გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. მიწერილობა..... 1 გვ;
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე..... 1 გვ;
5. ჭ5 გრუნტის ჭრის გრაფიკები ..... 6გვ;
6. მოედნის ტოპოგეგმა ..... ..... 1 ფურც;
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 6 ფურც;
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი..... 4 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 18 სართულიანი საცხოვრებელი სახლი სარდაფით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა ბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ. შენობის ზომებია 64X18მ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი,

მათი ჯამური სიგრძე 150მ. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხა;
3. ფენა 3 – ქვიშა;
4. ფენა 4 – თიხა;
5. ფენა 5 – ქვიშა;
6. ფენა 6 – თიხა;.
7. ფენა 3 – კარბონატული თიხა, კონგლომერატის თხელი შრეებით.

ზემოთჩამოთვლილი ფენებიდან ძირითადად გავრცელებულია თიხები და ქვიშები, დანარჩენი ფენები შუაშრეებითაა წარმოდგენილი. ანგარიშში მოცემულია თიხებისა და ქვიშების დახასიათება და მათი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ დონემდე არ დაფიქსირებულა.

## დასკვნა

ქ. თბილისში, იპოლიტოვ-ივანოვის ქ№10-ში, ნაკვეთ №29/75-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ რომ, წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილს.

სტუ, "გრუნტების მექანიკისა და
ფუძე-საძირკვლების" მიმართულების
ხელ-ლი, ტ. მ.დ., პროფ. გ.ჭოხონელიძე